პოლიტიკური მითოლოგია - გამოუყენებელი შესაძლებლობები საქართველოსთვის და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის

ალექსანდრე რუსეცკი
ფსიქოლოგიის დოქტორი (2019), პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი (2023),
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა და მორალის აკადემიის წევრი,
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მეტაკოგნიტიური მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

ANOTATIA

სტატია შექმნილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო გრანტთა 2022 წლის კონკურსის ჩარჩოში გამარჯვებული პროექტის „პოლიტიკური კრიზისების მეტაკოგნიტიური მართვის თეორია და პოლიტიკური ქცევების ლასველ - ფლაიველის მეტაკოგნიტიური სამეცნიერო მონიტორინგის სისტემა“. ნაშრომი მიეკუთვნება შემეცნების, პოლიტიკური ფსიქოლოგიის, მშვიდობის და მითების კვლევებს. მისი მეთოდოლოგიური ბაზისი ეყრდნობა - ჰოლისტური, რევიზიონისტული, ინტერდისციპლინური კვლევების შედეგად შექმნილ მეტაკოგნიტიური მართვის თეორიას და ავტორის მიერ გამოცემულ მონოგრაფიებს: „არქიპელაგი კავკასია“ - მითები და რეალური პოლიტიკა“, „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“, „აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისი - მეტაკოგნიტური მართვის თეორიის შესაძლებლობები“. გამოყენებულია სამაგიდე კვლევები, ინტერვიუირების მეთოდი, შედარებითი ანალიზი, ჯ.ფლაუელის მეტაკოგნიტიური მონიტორინგის მეთოდი და გეოპოლიტიკური მოდელირების, დიზაინის და ბრენდინგის მეთოდი. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მითოლოგიური ცოდნის კაპიტალის გამოყენება მშვიდობის მშენებლობის სოციალურ პრაქტიკაში. მთავარ ამოცანას კი წარმოადგენდა პოლიტიკური მითოლოგიის, როგორც მშვიდობის მშენებლობის ტექნოლოგიის შესაძლებლობათა შეფასება.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური მითოლოგია, პოლიტიკური ფსიქოლოგია, კოგნიტიური კაპიტალი, მეტაკოგნიტიური მონიტორინგი.

ANNOTATION

This article presents research conducted within the framework of the project "The Theory of Metacognitive Management of Political Crises and the Laswell-Flavel Metacognitive Scientific Monitoring System of Political Behaviors," which received support as the winning project in the 2022 scientific grants for fundamental studies competition at Caucasus International University.

The study explores themes of cognition, political psychology, peace, and myths drawing on a methodological foundation centered on the author's developed theory of metacognitive management as detailed in monographs such as "The Archipelago Caucasus - Myths and Real Politics," "Arsenal of Metapolitics for Peace," and "Political Crisis of Abkhazia - Possibilities of Metacognitive Management Theory."

Desk studies, interview method, comparative analysis, J. Flavell's metacognitive monitoring method and geopolitical modeling, design and branding method are used. The main goal of the study was to use the capital of mythological knowledge in the social practice of peace building. The primary objective was to assess political mythology as part of the capabilities of peacebuilding technology.

Key words: Political Mythology, Political Psychology, Cognitive Capital, Metacognitive Monitoring.

შესავალი

თანამედროვე კონფლიქტთა მოუგვარებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ადამიანები არასაკმარისად იყენებენ დიაგნოსტირების, პრევენციის ან პოზიტიური ტრანსფორმაციისათვის არსებულ ცოდნას. აქტიურად ვითარდება კრიზისების და ომების პროვოცირების და მართვის ტექნოლოგიები, მაგრამ სტაგნაციას განიცდის თანამედროვე სამშვიდობო ტექნოლოგიათა განვითარების პროცესი. **მეტაკოგნიტიური მართვის თეორიის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს - რთული პრობლემების მოგვარებისთვის სამეცნიერო და არასამეცნიერო ცოდნის (შემეცნების ფართე შესაძლებლობის) პრაქტიკული გამოყენება.** ამ თვლასაზრისით, წარმოდგენილ სტატიაში ნოვაციას წარმოადგენს პოლიტიკური კრიზისების მართვაში და მშვიდობის მშენებლობაში მითოლოგიური ცოდნის გამოყენება. მითები წარმოადგენენ მეცნიერების მკვებავ ძალას, ხოლო მითოლოგია იარაღს, რომელ-

საც ძალუძს არასამეცნიერო ცოდნის სამეცნიერო ცოდნად გარდასახვა.

თანამედროვე უკრაინელი მეცნიერის, პოლიტოლოგის - ი.ჟ.შაიგორიდსკის ნაშრომში წარმოდგენილია მითოგენეზის ცნება და მითის სხვადსხვა ეპოქაში მოღვაწე მოაზროვნეთა მიერ წარმოდგენილი 15 კონცეპტუალური მიდგომა: სოფლმხედველობითი, ფილოსოფიური, კულტუროლოგიური, სემიოლოგიური, განმანათლებლური, ინტუიტურ-იდეალისტური, სოციოლოგიური, სოციალურ ფსიქოლოგიური, ტრანსცინდენტური, სტრუქტურული, სიმბოლისტური, ჰეროიკული, პოლიტოლოგიური, ტექნოლოგიური და უნივერსალური (Шайгородский, 2009 a).

ი.შაიგოროდსკის აზრით, პოლიტიკური მითი არის არქეტიპული კონსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს გარკვეული პოლიტიკური სისტემის არსებობას და მასში ინდივიდის ან პოლიტიკური ორგანიზაციის განსაკუთრებულ როლს. პოლიტიკური მითი, მისი აზრით, ხდება ყველაზე ეფექტური საშუალება სოციალური განვითარების კრიზისულ პერიოდებში - ომების, რევოლუციების, რეფორმების და ა.შ. მითის დახმარებით საზოგადოებას შეუძლია აღადგინოს სამყაროს დანგრეული სურათი(Шайгородский, 2009 b).

საინტერესოა რუსეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის - ა.წულაძის პოლიტიკური მითის განმარტება (ი.შაიგოროდსკის ცხრილში ა.წულაძე მიეკუთვნება „მე-14“ “ტექნოლოგიურ კონცეპტუალურ” ტიპს). ა.წულაძის აზრით პოლიტიკური მითი გამოიყენება პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად: ძალაუფლებისთვის ბრძოლა, ძალაუფლების ლეგიტიმაცია, პოლიტიკური ბატონობის განხორციელება. პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გამოყენებული პოლიტიკური მითები კოლოსალურ გავლენას ახდენენ მთელ საზოგადოებაზე. ვინაიდან ნებისმიერი პოლიტიკური მითის მიღმა ყოველთვის იმალება გარკვეულ ინდივიდთა და ჯგუფთა სრულიად მატერიალური ინტერესები. პოლიტიკური მითის თავისებურება ის არის, რომ ის ყოველთვის ისწრაფვის იქცეს რეალობად (Цуладзе, 2003).

საინტერესოდ განსაზღვრავს ი.შაიგოროდსკი მითოლგიურ ცნობიერებას. პოლიტიკური მითი გარკვეულწილად ქმნის რეალობის მოდელს, ამისტიფიცირებს პოლიტიკურ რეალობას, აყალიბებს ცნობიერების უნიკალურ სტრუქტურულ ელემენტს - მითოლოგიურ ცნობიერებას, რაც შესაძლებელს ხდის პოლიტიკის რთული სამყაროს გამარტივებას რწმენაზე დაფუძნებული ჰოლისტური და ჰარმონიული მსოფლმხედველობის წყალობით და არა ლოგიკური ცოდნა თავისი შინაგანი უთანხმოებით. თანამედროვე პოლიტიკური მითის ძირითადი ნიშნებია მისი მთლიანობა, უნივერსალურობა, კონსერვატიზმი, სინკრეტიზმი, ბინარული, პერსონალიზებული, მანიპულაციური, არქეტიპული - ბუნება და სიმბოლოთა თანხლება (Шайгородский, 2009 b). ამავე დროს უნდა აღინიშნოს რომ ეს ჰოლიზმი არაა სრულყოფილი და ატარებს გამოკვეთილ რედუქციონისტულ ხასიათს, ანუ სინკრეტულობის სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ ეს ერთი მხრივ არის პრიმიტივიზაცია, რედუქციონიზმი, ხოლო მეორე მხრივ შეიძლება შეიცავდეს საწყისი ჰოლიზმის ელემენტს. ეს აისახება მეცნიერის კიდევ ერთ განმარტებაში, რომელშიც ერთდროულად მოიცავს „ჰოლიზმის“ და „რედუქციონიზმის“ ელემენტებს. მისი აზრით, „პოლიტიკური მითი არის ჰოლისტური, გამარტივებული, უპირატესად ირაციონალური ასახვა პოლიტიკური რეალობისა და ძირითადი სოციალური ფასეულობების ინდივიდუალურ და მასობრივ ცნობიერებაში, მათი ინტერპრეტაციის უნიკალური საშუალება სიმბოლოებით, სამყაროსა და სოციალური ცხოვრების მოდელირება; ინსტრუმენტი კონკრეტული პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად - ბრძოლა ძალაუფლებისთვის, მისი ლეგიტიმაცია, ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის დამკვიდრება და ა.შ“. ამავე დროს, უნდა ავღნიშნოთ, რომ ორი ანტოგონისტური მითის არსებობა და პოპულარიზაცია, წარმოადგენს ტიპიურ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომს. ამ შემთხვევაში მითი წარმოადგენს არსებული დაპირისპირების მკვებავ ძალას. როგორც წესი, ამისთვის გამოიყენება პროპაგანდის სხვადასხვა ტექნოლოგია.

ამავე დროს, მითი შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც მედიაციური რესურსი, რომელიც ორიენტირებულია ამ კონფლიქტის მოგვარებაზე. ამის მაგალითად შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთი მხრივ იაპეტთა მოდგმის - „ატლანტისტთა“ და „პრომეთეისტთა“ ტრანსატლანტიკური ალიანსი, ხოლო მეორე მხრივ - ჰიპერბორიელთა ევრაზიული პროექტი. როგორც მათ შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა, შეიძლება წარმოვადინოთ ახალი თაობის ჯერ გამოუყენებელი პრაქტიკაში - „დევკალიონის“ (პრომეთეს შვილის და ბიბლიური ნოეს პროტოტიპი) მითი (Русецкийу&Дорохина, 2009).

მითოლოგია, როგორც მითების კვლევების მიმართულება აერთიანებს ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ ცნებას - „მითს, როგორც ირაციონალურს“ და „ლოგოსს, როგორც რაციონალურს“. ამიტომ იგი თავის არსში ატარებს გამოკვეთილად სინკრეტულ ხასიათს. ამ თვლასაზრისით კი „მითო-ლოგია“ წარმოადგენს სინერგიის პროდუქტს. მაგრამ, „დევკალიონის“ შემთხვევაში მითი ორიენტირებულია რაციონალურ, კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე, რაც წარმოადგენს მშვიდობის მშენებლობის და საერთაშორისო უსაფრთხოების მაგალითს. დევკალიონი - პრომეთეს შვილია და მისი მამისგან განსხვავებით წარმოადგენს არა ათე-

ისტური ჰუმანიზმის, არამედ - ათეისტური ჰუმანიზმის კულტურას. ის პატივს სცემს ადამიანებსაც და ღმერთებსაც. ამიტომ, ბერძნული მითის თანახმად, ზევსის გადაწყვეტილებით, წარღვანას გადაურჩნენ მხოლოდ დევკალიონი და მისი მეუღლე პირა, რათა შეუდგნენ ახალი ცივილიზაციის მშენებლობას.

მეტაკოგნიტიური მართვის მიდგომა იძლევა საშუალებას, რომ დავინახოთ სინკრეტიზმის კიდევ ერთი განზომილება - სამეცნირო და არასამეცნირო ცოდნის სინთეზი. უძველესი მითები კვებავენ მეცნიერებას, ხოლო მეცნიერება ქმნის ნოვაციური მითის შექმნის და მისი დანერგვის (ინოვაციის) საშუალებას, მათ შორის პოლიტიკურ პრაქტიკაში. ამ თვლასაზრისით, მნიშვნელოვანია ჰ.ლასუელის, შ.ნადირაშვილის, ლ.ვოიტასიკის ნაშრომები და ჯ.ფლეიველის მიერ შემოთავაზებული მეტაკოგნიტირი მონიტორინგის მეთოდი (Lasswell, 1927; Lasswell, Smith, Casey, 1946; Lasswell, 1947; Lasswell, 1960; Надирашвили, 1980; Войтасик, 1981).

შაიგოროდსკის მიერ წარმოდგენილ 15 განზომილებიან მოდელს ჩვენ თამამად შეგვიძლია დავამატოთ ხუთი კონცეპტუალური კომპონენტი: ეკონომიკური, გეოპოლიტიკური (საერთაშორისო ურთიერთობები), კონფლიქტების და მშვიდობის კვლევები, თავდაცვა/უსაფრთხოების და კოგნიტიური.

გამომდინარე იქედან რომ მითი წარმოადგენს საინფორმაციო/კოგნიტიური სახის კაპიტალს, მისი გამოყენებისათვის საკუთარი ინტერესებისათვის იბრძვიან სხვადასხვა ეკონომიკური და პოსირდება ეკონომიკური ხასიათის კონფლიქტი და ჩვენ შეგვიძლია ზოგადად განვიხილოთ ეკონომიკური კონცეპტუალური განზომილებაც. ამას ასევე ადასტურებს მითოლოგიურ პერსონაჟთა აქტიური გამოიყენება მარკეტინგში და სახელდობრ ბრენდინგში. ქართულ რეალობაში ამის გამოკვეთილ მაგალითს წარმოადგენს კომპანია „შუმი“. კომპანიის დამფუძნებლებმა ღვინის ახალი ბრენდების შექმნის გზით გააცოცხლეს ქართული მითოლოგიური პოლითეისტური პანთეონი.

სურათი: კომპანია „შუმი“-ის ლოგოტიპი. https://gwa.ge/members_/ghvinis-kompania-shumi

აქტიურად გამოიყენება მითი ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს ამ თვალსაზრისით წარმოადგენს შოტლანდიური „ლოხნესის ტბის ურჩხულის მითი“.

სხვადასხვა ავტორთა კვლევები ამტკიცებენ მითის განსაკუთრებულ ღირებულებას გეოპოლიტიკური სიმბოლიკის, აზროვნების, დიზაინის, მოდელირების და ბრენდინგის მიმართულებით. ამიტომ, ეს მიმართულება ან ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი, ან გაერთიანებული შაიგოროოდსკის მოდელის მე-13 პოლიტოლოგიურ განზომილებასთან. მითოლოგიური გმირები აქტიურად არიან წარმოდგენილნი სამხედრო, თავდაცვითი, უსაფრთხოების ტექნოლოგიების, კონცეპციების, მიდგომების და ზოგადად პროდუქციის სახელწოდებებში. ფაქტიურად მითი წარმოადგენს კოგნიტიური ტიპის იარაღს, რაც ზრდის მითოლოგიის მიმართ უსაფრთხოების და თავდაცვის სპეციალისტთა ინტერესს.

პოლიტიკური მითოლოგიის დამაარსებლად ითვლება ფრანგი ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი - ჟორჟ ეჟენ სორელი. ჟ.სორელი გამოირჩეოდა სინკრეტული რადიკალიზმით. იგი მხარს უჭერდა ბოლშევიზმის ლიდერს - ვლადიმერ ლენინს და იტალიური ფაშიზმის იდეოლოგიის დამაარსებელს - ბენიტო მუსოლინის. ჟ.სორელის წიგნი „მოსაზრებები ძალადობის შესახებ“ წარმოადგენდა ბ.მუსოლინის სამაგიდო წიგნს (Sorel, 1999). მუსოლინი იძახდა: ”სწორედ სინდიკალიზმის განმანათლებელმა ჟ. სორელმა თავისი რევოლუციური ტაქტიკის თეორიებით უდიდესი წვლილი შეიტანა ფაშისტური კოჰორტების დისციპლინის, ენერგიისა და სიძლიერის ჩამოყალიბებაში”. ჯ.სორელი პირველი მსოფლიო ომის დროს აქტიურად გამოდიოდა ინტერნაციონალისტთა - ომის მოწინაამღდეგეთა რიგებში, ხოლო მოგვიანებით მხარს უჭერდა ულტრა-ნაციონალისტურ იდეოლოგიას.

კიდევ ერთი ქართველი მკვლევარის დ.ჟვანიას შეფასებით, პერიოდს 1909 წლიდან 1914 წლამდე ზოგჯერ „ნაციონალისტურს“ უწოდებენ. მართლაც, სორელი პოულობს ტაქტიკურ პარტნიორებს მონარქისტებსა და ნაციონალისტებში. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალადობის მისი კონცეფცია გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, გმირული ზნეობის დაბრუნებას, რომელიც არა მხოლოდ გა-

აღვიძებდა პროლეტარიატს, არამედ მისცემდა მასტერკლასს საშუალებას აღმოეჩინა საკუთარ თავში მშვიდობიანი ბურჟუაზიული განვითარების დროს დაკარგული ძალები. ამგვარად, სორელი არ დაიხია თავის „ანარეკლებზე", ის მხოლოდ კიდევ ერთხელ ცდილობდა ეპოვა ისინი, ვინც მისი პროგრამის განხორციელებას შეძლებდა (Жвания, 2012).

ჟ.სორელის „საყოველთაო გაფიცვის" მითი წარმოდგენილია როგორც მასებით მანიპულირების საუკეთესო მაგალითი. «ჟორჟ სორელის თვალთახედვით მითი არის გამოსახულების ერთობლიობა, რომელსაც შეუძლია ინსტინკტურად აღძრას ადამიანებში გარკვეული მოქმედებების შესასრულებლად საჭირო გრძნობები. ამრიგად, „საყოვლთაო გაფიცვას", როგორც მითს, შეუძლია „გამოინვიოს ზუსტად ის გრძნობები, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ სოციალისტური ბრძოლის სხვადასხვა გამოვლინებებს" (Sorel, 1999, გვ.129).

გარდა ძალადობის იდეებისა, ჟ.სორელი პოპულარიზაციას უწევს ტოტალურ სიცრუეს, რაც თავისი აზროვნებით და გქევით გვაგონებს პრომეთეს ათეისტური ჰუმანიზმის კონტენტს. ჰეროიკული მორალი დასრულდა ნაცისტური თუ საკონცენტრაციო ბანაკებით და ჰოლოკოსტით, მაგრამ ჟ.სორელი იყო მხოლოდ ერთი პატარა ჭანჭიკი იმ უზნეო ინტელექტუალურ ელიტაში, რომელმაც მიიყვანა კაცობრიობა დღევანდელ მდგომარეობამდე. მსგავს ათეისტ მეცნიერთა მიერ ძალადობის იდეების პოპულარიზაცია და ამ პროცესში მითოლოგიის კაპიტალის გამოყენება იყო მეტად მტკივნეული იმ ასამდე მილიონობით ადამიანისათვის, რომლებიც შეეწირნენ ბოლშევიკთა დიქტატურას, მუსოლინის ფაშიზმს და ჰიტლერის ნაციზმს.

სტატიაში გამოკვეთილია მითის, როგორც ცოდნის ეკონომიკის და პოლიტიკური მართვის არამატერიალური კაპიტალის როლი. წარმოდგენილია მითის, როგორც კოგნიტიური იარაღის შესაძლებლობები და მისგან მომავალი საფრთხეები. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მეტაკოგნიტიური მონიტორინგის მეთოდის გამოყენება. ყოველთვის არსებობს მითის თვითნებური ინტერპრეტირების, აღქმის და აღწერის საფრთხე. მაგალითად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ როლან ბარტმა შემოიტანა - „მეორადი სემიოლოგიური სისტემის" ცნება. რ.ბარტი იკვლევს არა მხოლოდ მითის პირდაპირ არსს, არამედ მის დახურულ შინაარსებს, რომლებიც შეიძლება გაუცნობიერებლად ახდენდნენ ზეგავლენას ადამიანის ფსიქიკაზე (Barthes, 1972). ა.ა.სურკოვის აზრით, მითი იყენებს ყოველდღიური ენის სიტყვებს, ართმევს მათ მნიშვნელობას და ანიჭებს მათ ახალ, უფრო ფუნქციურს, პოლიტიკური გამოყენებისთვის შესაფერის შინაარს. ჟორჟ სორელის თეორიისთვის ფუნდამენტურია „მითის" ცნება, რომელსაც ის იყენებს „საყოველთაო გაფიცვის" ფუნქციონალური აქტუალობის აღსანიშნავად და მასში სოციალიზმის განხორციელების გზას ხედავს. უფრო მეტიც, როგორც დავინახავთ, „საყოველთაო გაფიცვა" თავისი მითიური ხასიათიდან გამომდინარე თავისუფალია სიმართლისგან და ჭეშმარიტებისაგან. „საყოველთაო გაფიცვა" რომც არ არსებობდეს რეალობაში ის უნდა იყოს გამოიგონილი. (Сурков, 2013).

დასკვნა

კვლევის შედეგებმა დაგვივადასტურა, რომ მითები აქტიურად არის გამოყენებული პოლიტიკური და გეოპოლიტიკური იდეოლოგიების ჩამოყალიბების პროცესში და ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკური კრიზიესების განვითარება-ტრანსფორმაციაზე. ამავე დროს დღის წესრიგში დგება საკითხი - რამდენადაა დაცული მანიპულირებისაგან საზოგადოება და როგორი უნდა იყოს სამეცნიერო და სამოიქალაქო კონტროლის სისტემა. ერთ-ერთ ტექნოლოგიათ შეიძლება რომ იყოს გამოყენებული **ფლაიველის მეტაკოგნიტიური მონიტორინგის, შეფასების და მართვის მეთოდი.** მისი მეშვეობით შესაძლებელია ამ უნიკალური მოვლენების დაფიქსირება, მათგან მომავალი საშიშროებების და შსაძლებლობების აღრიცხვა, მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და საზოგადოების საკეთილდღეოთ გამოყენება. კვლევის შედგების იმპლემენტაციის მიზნით არის წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერებათა და მორალის აკადემიის და მეტაპოლიტოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე - **პოლიტიკური მითოლოგიის კვლევითი ცენტრი „დევკალიონის"** დაარსების პროექტი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური მითოლოგიის - ფრანგული, გერმანული, რუსული, ბრიტანული, აშშ, პოლონური და სხვა ნაციონალური სკოლების პარალერულად არსებობდეს ქართული პოლიტიკური მითოლოგიის სკოლაც, რომლის ხარისხობრივად განსხვავებული ნიშანია - მშვიდობაზე და საერთო განვითარებაზე ორიენტაციაა, რაც შეიძლება წარმოადგენდეს - გეოპოლიტიკური მითოლოგიის და სამშვიდობო მითოლოგიის მიმართულებათა განვითარების საინტერესო პერსპექტივას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Barthes, R. (1972). Mythologies: Roland Barthes. Hill and Wang.

2. Lasswell, H. D. (1927). Propaganda Technique in the World War. (1971 edition with a new introduction).

3. Lasswell, H. D., Smith, B. L., & Casey, R. D. (1946). Propaganda, Communication, and Public Order. Princeton.

4. Lasswell, H. D. (1947). The Analysis of Political Behavior. L.

5. Lasswell, H. D. (1960). Psychopathology and Politics.

6. Русецкий А., Дорохина, О. (2009). Архипелаг Кавказ - мифы и реал-политики. [The Archipelago Caucasus - Myths and Real Politics]. hCa SCIRS.

7. Надирашвили, Ш. (1980). Психология пропаганды [Psychology of Propaganda].

8. Sorel, G. (1999). Reflections on Violence. In J. Jennings (Ed.), The University Press, Cambridge.

9. Войтасик, Л. (1981). Психология политической пропаганды [Psychology of Political Propaganda]. М., С. 119.

10. Жвания, Д. (n.d.). Иррациональный социализм Ж. Сореля [Электронный ресурс]. Новый смысл. http://www.sensusnovus.ru/analytics/2012/08/29/14287.html

11. Сурков, А. (2013). Миф, сила и насилие в философии Ж. Сореля [Myth, Power, and Violence in the Philosophy of J. Sorel]. Runivers. Retrieved from https://runivers.ru/philosophy/logosphere/471679/

12. Шайгородский, Ю. (2009a). Политическая мифология в кризисном обществе. Образование региона.

13. Шайгородский, Ю. (2009b). Политический миф как теоретический дискурс. Revista de filozofie, sociologie şi ştiinţe politice: Academia de ştiinţe a Moldovei, 72-82.

14. Цуладзе, А. (2003). Политическая мифология: [монография]. ЭКСМО.

15. ღვინის კომპანია შუმი, https://gwa.ge/members_/ghvinis-kompania-shumi/